№ 48 მარტი 6, სამშაბათი 1890 მარტი 6, სამშაბათი № 48

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 9 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ევარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაძლებს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 8 მარტს,

ტფილისის საბალოსნო სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ

ქართულ თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქმნება:

I

**ბაგრატ IV**

ისტორ. დრამა 4 მოქ., კ. მესხისა.

II

ერიდეთ ცეცხლსა

დრამატ. ეტიუდი 1 მოქ.

III

დივერტისმენტი და ლეკური

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, მელიქიშვილისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ნ. ერისთავი, ვაყაოფშაველა (რაზიკაშვილი), ნებიერიძე, მიქელაძე, აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე

---

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ 8 მან. შუშიდამ ბ-ნ ი. ზედგინიძისაგან და გვთხოვს, 5 მან. გარდაეცით წინამძღვარიანთ სკოლას, ხოლო 3 მან. დიმ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ ჩარიცხეთო. ამიანათ ეს ფონდი 379 მანათი შესდგა დღეს.

*** ჩვენ მივიღეთ 188 მან., რომელიც შეუგროვებიათ ბ-ნთ სვიმონოვს და დაფქიაშვილს წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ. ეს ფული შემოსულა იმ წარმოდგენიდამ, რომელიც გაუმართავს თავის თეატრში ბ-ნს რემლინგს ზემოხსენებულ სვიმონოვისა და დაფქიაშვილის თხოვნითა.

*** ხუთშაბათს, ამ თთვის 8 ქართულს თეატრში ჩვენი სათეატრო დასის მიერ გამართული იქნება ქართული წარმოდგენა ტფილისის საბალოსნო სკოლის სასარგებლოდ.

*** კვირას, 4 მარტს ქართულს თეატრში ბ-ნ აღნიაშვილის ხორომ ქართული კონცერტი გაჰმართა. სასიმღერო ხმები სულ ახალი იყო თითქმის და პირველად მოისმინა იმ საღამოს საზოგადოებამ, რომელიც სამწუხაროდ ფრიად ნაკლებად დაესწრო.

*** აი რას გვწერენ კიდევ სურამიდამ იმ ამბის გამო, რომელიც ამას წინად მოხდა აქაურს მომრიგებელ მოსამართლის სახლში: 27 თებერვალს, ღამის ორ-საათზე მოხდა ერთი უცნაური და სამწუხარო ამბავი. აქ გახლავთ გამართული სამკურნალო ავადმყოფთათვის. სამკურნალოში იწვა ერთი რუსი. ანთებით და სიცხისგან მთლად გონება დაკარგული ეს რუსი წამოვარდებოდა უეცრად ქვეშაგებიდამ, დაიწყებდა გიჟივით მღერა-სიცილს და სირბილს. სამი კვირა იყო სრული ამ წვალებაში; გახდა მერე კარგად და გამოეწერა სამკურნალოდამ, მაგრამ უბედური გახდა კიდევ ავად და ხელ მეორედ დაბრუნდა სამკურნალოში. 27 თებერვალს ავადმყოფი გამოჰპაროდათ კარში, ფერშალს გაეგზავნა მაშინვე საძებნელად ჯარის-კაცები, მაგრამ ბევრის ძებნის შემდეგ დაბრუნდნენ ხელ-ცარიელნი: ვერსად იპოვეს. მეორე დღეს დილით, 28-ს კაცი მოვიდა და შეატყობინა სამკურნალოში ფერშალს, რომ თქვენი რუსი დასჭრეს და წაიყვანეთო. აი როგორ მომხდარა ეს ჰრილობა: ღამე გამოქცეული ტილოს პერანგით და ტილოსავე პერანგის ამხანაგით თავ-ფეხ შიშველა მისდგომოდა აქაურ მომრიგებელ მოსამართლის სახლის კარებს, გაუტეხია კარები და შესულა შიგ. კარებში მდგარა ყვავილები; წამოუკრავს ფეხი და სულ ლაწი-ლუწი და ჩახა-ჩუხი აუყენებია. მომრიგებელ მოსამართლის, ბ-ნ კლიმოვსკის ცოლს, გაუგია ეს და გაუღვიძებია ქმარი და უთქვამს, სახლში ვილაც საცვლების ანაბარა კაცი დაფათურობსო. კლიმოვსკის ქურდი ჰგონებია და უსროლია დამბაჩა, ტყვია მოურტყავს მარჯვენა ხელის მაჯაში. მეორედ უსროლია და დაუჭრია მკლავში. სიცხე-ანთებისაგან გადარეული და ორ ტყვია ნაკრავი გამწარებული რუსი სცემია კლიმოვსკის, მაგრამ მალე მიჰშველებია ცოლი ხანჯლით, დაუცია ხანჯალი პირდაპირ გულში, მერე მუცელში და წაუქცევია კიდეც. კლიმოვსკის მოსამსახურე უფრენია გამომძიებელთან გამომძიებელს უკითხავს ცოცხალ მკვდარ ჯარის კაცისათვის საქმის გარემოება და ჯარის კაცს უთქვამს, რომ მარტოკა მე არა ვყოფილვარ, ჩემთან ოთხი სხვაც იყოვო; და ჩამოუთვლია სახელი და გვარი იმ ოთხის, ტყუილად თუ მართლად, ეს არავინ იცის. რუსი ჯერ ისევ ცოცხალ-მკვდარია და არ ვიცით, როგორ წავა საქმე.

---

## ფელეტონი

### ხიდია ჩატეხილი

მოთხრობა

III*)

მზე ჯერ კარგად არ გამარჯვებულიყო მოკრიალებულს ცაზე, მაგრამ მისი ძლიერი სხივები მისუსტებულს მტერს ადვილად სძლევდა. მთა და ბარი მზის სხივებით გამთბარი და გაჩაღებული მადლობით შესცინოდა და შეჰხაროდა ცის დიდებულს მნათობს, თითქო ჰგრძნობდა ყოველივე, რაც არსებობს დედამიწაზე, რომ მისგან გვიდგა სული, ის გვაცოცხლებს, ის გვარჩენსო. ისმოდა გალობა ფრინველთა და ჟრიამული ბელურა ჩიტებისა. ერთი სვეტი მზის სხივებისა მძინარე ნიკოს თითქო დაცინვით ზედ დაჰყურებდა და იმის თეთრ მაღალ შუბლსა და გძელს წამწამებს ცელქად დასთამაშებდა.

პურის საჭმელ ოთახში სუფთად ჩაცმული ლათო მხიარულად დასტრიალებდა გაკრიალებულს სამოვარს და მოუთმენლად ელოდა ნიკოს გაღვიძებას. რამდენჯერმე მივიდა ოთახის კარებთან და სულ-განაბული ყურს უგდებდა: ეგებ არა სძინავს და ლოგინში ნებივრობს თავისებურადაო. მერე ჯუჯუტანაში დაიწყო ცქერა, იქნება სახე დავინახოვო, მაგრამ ვერც მისი სახე დაინახა და ვერც ამისი ხმა გაიგონა. ლოდინით გაბეზრებულმა ლათომ ახლა ნიკოს წიგნებს დაუწყო წმენდა და განგებ ერთი წიგნიც გადმოაგდო, მაგრამ ნიკოს ოთახიდგან მაინც ხმა არა მოისმა-რა. პურის საჭმელს ოთახში ბიჭი შემოვიდა და მოკრიალებულს ტასტს დოქით წყალი მიუდგა.

— შენ წადი, მე დავაბანინებ, უთხრა ლათომ.

— მე-კი ვითომ რა მიშავს! წყალის დასხმას ვერ მოვახერხებ თუ!

ამ დროს ნიკოს ოთახიდგან ხმა მოისმა. ბიჭიცა და გოგოც ერთად მივარდნენ ტასტს, მაგრამ ბიჭმა ხელიდგან ტასტი გამოგლიჯა და გაიქცა. ლათომ რაღაც წყევლა წაიტუტუნა და გაჯავრებულმა ჭიქებს დაუწყო ხელ-მეორედ წმენდა.

ნიკო მხიარულად ემუსაიფებოდა მსახურს, რომელიც ძლივს იჭერდა სიცილს თავის ბატონის ოხუნჯობაზე. ლათოსაც ესმოდა ნიკოს ოხუნჯობა და სიამოვნებით გული უკანკალებდა. ნიკომ უკანასკნელად შეისხა პირზე წყალი და, პირისბანის გათავების ნიშნად, ბიჭს წკიპარტებით სახეზე წყალი შეუშხაპუნა. ამ ხუმრობაზე ბიჭმა უშნოდ გაიცინა. ლათომ მოუთმენლად კარებში თავი გაჰყო, რომ გაეგო სიცილის მიზეზი, მაგრამ რა დაინახა ბიჭის შექცეული ზურგი, რომელიც ნიკოს დანახვას უშლიდა, ერთხელ კიდევ გულიანად დასწყევლა და ისევ თავის ალაგას აიტუზა.

აგერ ნიკო იმისკენ გაემართა ჩქარის ნაბიჯით. ლათომ გაქცევა დააპირა. ნიკო უცბად შეჩერდა.

— რა მშვენიერად არის დალაგებული! ამ ჩემს წიგნებს ვინ უვლის, გიგლა? ჰკითხა მან მსახურს.

ამ სიტყვების გამგონე ლათო გაწითლებული, გულის კანკალით თითის წვერებზე შესდგა და ისევ გაიქცა დასამალავად.

— მაშ ლათო აქ არის და ჩემს სანახავად არც-კი შემოდის! მოესმა ლათოს ნიკოს ხმა და ისეთი გულის ჩქროლა აუვარდა და ისე მოაწვა სახეზე სისხლი, რომ თვალთ დაუბნელდა და მუხლები მოეკვეცა. აღელვებული ორივ ხელებს სახეზე ისვამდა და ვერ მოეხერხებინა მიჰგებებოდა ნიკოს, რომელიც ჩქარის ნაბიჯით მისკენ მიდიოდა.

— ჩემი ლათო, რა ლამაზი ქალი დამდგარხარ! — უთხრა ნიკომ და შუბლზე აკოცა.

რა ბედნიერი იყო ლათო! რა სიამოვნებით სცემდა მისი გული! ლათომ მოჰკიდა ათრთოლებული ხელები ნიკოს ხელს და მისი კოცნა დააპირა.

— მღვდელი ხომ არ ვარ, რომ ხელზე მაკოცო, უთხრა სიცილით ნიკომ და ხელი გამოართვა, მაგრამ ლათოს კოცნა მაინც გაისმა ჰაერში: რაკი ხელზე კოცნა ვერ მოასწრო, მეორედ პიჯაკის კალთას აკოცა.

— რასა იქ, როგორა ხარ? ავადმყოფის სახე გაქვს. ეკითხებოდა ალერსით ნიკო.

ლათო ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა, თითქო გული ყელში მიებჯინა და სუნთქვას უშლიდა. ყელი უშრებოდა და იმის გასასველებელი ნერწყვი თითქო მთლად ცრემლად იქცა, რომ თავის მწარე წვენით თვალები დაეწო და დაებნელებინა. აღელვებული ლათო თავის გაატლასებულს სახეს ხან აქეთ ატრიალებდა, ხან იქით და იმის ოდნავ აწეული ზედა ტუჩი ლათოს მაგიერად ამბობდა: ნუ მტანჯავ სიამოვნებითაო!

ნიკომ შეატყო ლათოს აღელვება, ძმურის სიყვარულით ხელი მოჰხვია და, რომ დაემშვიდებინა, ჩაის გაკეთება სთხოვა. ნიკო რომ სტუმრის მისაღებ ოთახში გავიდა, გიგლა, რომელიც აქამდის კარებში იყო ატუზებული, ღიმილით მიუახლოვდა ლათოს და უთხრა:

— გოგო, რა ღალღასავით იქნევდი მა კისერსა!.. კიდევ რაღაც უნდა ეთქვა გიგლასა, მაგრამ ლათომ გააწყვეტინა, კისერში წაჰკრა და ქოლვით გააგდო გარედ.

— ისევ ბაცი ჩაი გიყვართ? ჰკითხა კარებიდგან ლათომ.

— შენ ჩემზე უფრო კარგად გახსოვენებია, ჩემო ლათო, რა ნაირი ჩაიც მიყვარდა. ეხლა სულ ერთია ჩემთვის, ოღონდ ჩაი-კი ერქვას.

ნიკომ გაჰხედა ფანჯრიდგან მინდორსა და ველს, მაგრამ იმისი აზრები მალე ისევ სახლშივე დატრიალდა.

— გმადლობ, ლათო, რომ ჩემს წიგნებს ეგრე კარგად უვლიდი უთხრა ნიკომ, როდესაც ლათომ ჩაი შემოუტანა. შენ ერთი ეს მითხარი, წიგნის კითხვა ხომ კარგად უნდა იცოდე ეხლა?

— იქნება კიდეც დამავიწყდა, ბატონო, საკითხავი წიგნები არა მქონდა, უპასუხა მორცხვად ლათომ.

— მაგას რას ამბობ! ჩემი წიგნები სულ შენ არ გებარა?!

ლათომ თავი ჩაჰღუნა და ზედა ტანს მორცხვობის გამო, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, იწევდა. ნიკო მზად იყო ეფიქრა, რომ ლათოს წიგნის კითხვის სურვილი არა ჰქონიაო. ამ დროს ლათომ ნაზად უპასუხა:

— თქვენ არა ბძანდით, უჩემოთ ხელი არავინ ახლოს წიგნებსაო?

— ერიჰა, ეგ რა გიფიქრია? შესწუხდა ნიკო: მე ხომ შენზე არ მითქვამს. სხვას ნუ მისცემ-მეთქი! ვაიმე, ვაიმე! როგორ იქნება, რაღა თქმა უნდა, დაგავიწყდებოდა წიგნი! აბა ერთი ვნახოთ! სთქვა ნიკომ და წიგნის გამოსატანად გავიდა, მაგრამ ამ დროს ლათო მეორე ოთახში გაიპარა.

— სად გამეპარე, ლათო! გრცხვენიან განა ჩემი? ჰა, ჰაი!

— ისევ მალე ვისწავლი, უპასუხა მეორე ოთახიდგან ლათომ.

— მაშ ვნახოთ, როგორც მალე ისწავლი! გამიდი კარგი, აღარ წაგაკითხებ.

— სოსე სად არის, ჰკითხა ნიკომ ლათოს, რომელიც ღიმილით შემოვიდა ისევ ოთახში.

— სოფელს ყრილობა აქვს და ისიც იქ გახლავთ.

— რა ყრილობა?

— რა მოგახსენოთ, ზეკუცაის გამო არის, მგონი.

— სად არის მერე ყრილობა, მეც ეხლავე წავალ.

ნიკომ რა გაიგო, რომ ყრილობა სოსეს სახლთან არისო, სწრაფლად დაიხურა ქუდი და გასწია.

ლათო პატარა ხანს ღიმილით შეჰყურებდა მიმავალს ნიკოს, მერე მხიარულად ქუსლზე შემოტრიალდა და ხტუნვით გაიქცა ლოგინის გასასწორებლად.

სამოცამდის კაცი შეყრილიყო სოსეს სახლ წინ. აივნის კარების ბჯეზე მოხუცი დინჯად ჩამომჯდარიყო და სხვილი მაღალი ჯოხი მხარზე ეყუდა. იმის ერთის გვერდით ნაბადმოსხმული, გულზე მენდალ-გადაგდებული მამასახლისი ჩიბუხს ეწეოდა

*) იხ. „ივერია“ № 46.

*** სოფ. გაგი: გრძელსა და ყინვიანს ზამთარს მოჰყვა ხალხის ავადმყოფობა; ეს უხილავი მტერი მძვინვარებს ამ ბედ-კრულს ქვეყანაში და მუსრს ავლებს ხალხს. ცხოვრება გაჭირდა. ყოველ გვარი სანოვაგე შემცირდა. საქონელს ალაფი შემოაკლდა. ლეინის საპალნე, რომელიც წინად 20—25 მან. იყიდებოდა, დღეს 80—90 მან. ფასობს. ხორბალი თალარი (8—9 ფუთი) თუმნად იყიდება, ფეტვი 5 მან., ქერი 4 მან., ბრინჯი 1 მან. და 50 კაპ. აქამდე ყინვები იყო და ეს ერთი კვირაა, ცოტა მოთბა და თოვლი აილო. ქურმუხის წმ. გიორგის საყდრის აღაგებად ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ შემოსწირა 3,000 მან.

*** რუსულ ჟურნალი (Сельское хозяйство) იანვრის წიგნში დაბეჭდილია ვრცელი წერილი „Современное состояніе садоводства въ черноморскомъ округѣ“ (შავის ზღვის ნაპირა მაზრის ბაღოსნობის აწინდელი ვითარება). ავტორი ამ წერილისა კუზნეცოვი ამბობს, რომ შარშან კავკასიაში მოვგზაურობდი სამეცნიერო აზრითაო და ხსენებული ქვეყნის წარსულისა და აწმყოს შესახებ ბევრი ცნობანი შევკრიბეო. ამ ცნობებს უფრო დაწვრილებით შემდეგ წარვუდგენ მკითხველებს, ხოლო დღეს გაკვრით მოუამბობო. შავი ზღვის სანაპირო მაზრა მცენარითა და მოსავლით ფრიად მდიდარი არის, მაგრამ მკვიდრთ ეს სიმდიდრე ვერ მოუხმარნიათ, ბუნების სიძლიერეს თითქო იმათთვის წინ უსწრია, უჯობნია და უკან ჩამოურჩენია. მცხოვრებნი მეტად ღარიბნი არიან. ვინ არიან აქაური მცოვრებლები? თითო-ოროლა ძველ მკვიდრთ გარდა, დანარჩენნი არიან ყაზახნი, ჩეხელნი და სხვანი. ყაზახნი დაასახლეს ამ კუთხეში 1861—1864 წლებში. ახალი მოსახლენი, უცოდინარნი აქაურის გარემოებისა, თავისებურად, მამა-პაპურად შეუდგნენ საქმეს. ბუნებას შეებრძოლნენ იმავე ძალ-ღონით, რომლითაც თავიანთ ქვეყანაში ებრძოდნენ. მაგრამ ბუნებამ დასძლია. ახალ ახალ მოხელეებმა წინანდელი ადგილობრივი კულტურაც ვერ შეიშენიეს და ახალიც ვერ შექმნეს. წინანდელი საუკუნოებით შექმნილიც შეიმუსრა და ახალიც არ დამყარდა. წინანდელი კარმიდამო, ბაღ-ბაღჩა ეკალმა, შამბნარმა, ბალახ-ბულახმა მოიცვა, ყოველივე გაველურდა, ატყევდა და დღეს საჭიროა, რომ ხელ-ახლა დავამყაროთ კულტურა. ხილეულობა ტყე-ღრეშიაც მრავალი მოდისო. შემდეგში, როდესაც ამ ქვეყანას უფრო რიგიანადა და წესიერად მოვუვლითო, ხილის შემოსავალი უფრო გაძლიერდებაო. ამას გარდა ამ ქვეყანაში უხვად მოდის: სიმინდი, ზეთის-ხილი, პიტნა და აქაურივე ბუნება კარგად იშენებს ჩაის ხესაო, ჰარხალსა, ჩინეთის ჰინჰარსა და სხვათაო. ჩაის მცენარე კარგად ხარობს სოხუმში და ტუაფრეში კი ჩაის ორმა ბუჩქმა ადვილად გაუძლო ზამთრის სუსხსაო.

*** იგივე ჟურნალი მოგვითხრობს (გვ. 36—38) რომ საქართველოში ძველად აბრეშუმის მოყვანა ძლიერ გავრცელებული იყო. მაგრამ თანდათან ჰიის ავადმყოფობისაგან აბრეშუმიც შემცირდაო. 1860 წ. მთავრობამ საჭიროდ დაინახა, რომ მიშველებოდა ხალხს და აბრეშუმის მოყვანა ისევ ფეხზე დაეყენებინაო. ამ აზრით ტფილისში უკვე გაიმართა საჰიე სადგური, რომელსაც მთავრობის მიერ დავალებული აქვს, რომ ხალხში გაავრცელოს წესიერი მოვლა ჰიისა, პარკისა და ყაჭ-აბრეშუმის შემუშავება-წარმოება. 1888 წელს საზღვარ გარეთიდამ კავკასიაში შემოვიდა 15 ფუთი ჰიის თესლიო ანუ 57,600 მისხალი (30,000 მანეთისა).

◆◆

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დღევ ნდელს გაზ. „Новости“-ში საყურადღებო კორესპონდენციაა დაბეჭდილი ტფილისიდგან. კორესპონდენტი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ წარსულს წელს დიდი ჩოჩქოლი ასტეხა საზოგადოებასა და მწერლობაში იმ ამბავმა, ვითომ მთავრობას განზრახვა აქვს ტფილისში უმაღლესი სასწავლებელი დააარსოს, ნამესტნიკობა დააწესოს, ამიერ კავკასიასა და სტავროპოლში სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკის განყოფილება გაჰმართოსო და სხ.

რასაკვირველია, კავკასიის თავადაზნაურობას სახელმწიფოს წინაშე, განსაკუთრებით სამხედრო ასპარეზზედ, უცილობელი ღვაწლი მიუძღვის და უფლებაც აქვს იმის იმედი იქონიოს, რომ მთავრობა შემწეობას აღმოუჩენს და შემიმსუბუქებს როგორმე აწინდელს მძიმე ეკონომიურს მდგომარეობასაო, ამბობს გაზეთის კორესპონდენტი. კავკასიაში სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილების გამართვა ადვილად განსახორციელებელი საქმეა, მით უმეტეს, რომ სათავად-აზნაურო კრედიტის საქმე რუსეთში საკმაოდ განხილული და შემუშავებულია. მაგრამ ძნელად-კი ითქმის ის, ვითომ კრედიტი შეძლებდეს არსებითს საჭიროებას ამ ქვეყნისას. მეურნეთა ხელ-შესაწყობად ცოტაოდენი რამ მაინც გაკეთებულა კავკასიაში როგორც მთავრობის მიერ, აგრეთვე ადგილობრივის საზოგადოებისა. აქ არსებობდა პრიკაზი, ეხლაც არსებობენ სათავად-აზნაურო ბანკები, საზოგადო თანხით დაარსებული. ეს დაწესებულებანი ცოტად თუ ბევრად აკმაყოფილებენ კრედიტის საჭიროებას და თავად აზნაურების მამულთა უმეტესობა უკვე დაირავებულია კიდეც მცირე სარგებლით ხოლო კავკასიას ბევრი კიდევ სხვა წყლული აქვს, რომლის დასამებლად აქამდე თითქმის არა გაკეთებულა რა და რომლის ნაყოფად დაედება ფეხს უკრავს ამ უმდიდრესის ქვეყნის, ამ რუსეთის ინდოეთის განვითარებას.

გაზეთი ამბობს რომ კავკასიის ზოგიერთს ადგილას უკვე ნახევარ საუკუნეა, რაც სამოქალაქო მართვის წესები არის შემოღებული, ამასობაში-კი ყველა ცხოვრების მიერ წამოყენებული და ამდე გადაუწყვეტელი საკითხი რომ ავნუსხოთ, ჩვენის გაზეთის მთელს ფურცელს დაიჭერდაო. მაგალითებრ, აქამდე სათემო თვით-მართველობა არ არის შემოღებული კავკასიაში, საგლეხო საადგილ-მამულო ბანკის განყოფილება ვერ დავაარსეთ და სხ. ამას შემდეგ იგივე ტფილისელი კორესპონდენტი გაზეთისა გიმნაზიის პროგრამაში ცვლილების შემოღებას შეეხება და ამბობს სხვათა შორის, რომ სასურველი იქნებოდა ეს პროგრამათა შეცვლის კანონი ყველგან იქნას შემოღებული, სახელმწიფოს ყველა კუთხეშიო.

თუ აწინდელი გიმნაზიის სწავლის სისტემა საზოგადოდ ყმაწვილებს ჰქანცავს, სულითა და ხორცით აქუცმაცებს, ბავშვებს კარგად ვერ უნერგავს ცოდნას რუსულის ენისა და ბუნების მეტყველებისას, ეს მით უმეტეს სამართლიანად ითქმის რუსეთის განაპირა ადგილებ შესახებ, იმ ადგილებისა, სადაც გიმნაზიაში შესულმა ბავშვებმა ხშირად სულ არ იციან რუსული ენა და სადაც ამ ენის შესასწავლად გზაში ესიდებად ძველი კლასიკური ენები. კავკასიაში მკვიდრთა დიდმა უმეტესობამ რუსული ლაპარაკი სულ არ იცის და აქ უცოდინარობის გამოისობით მეტად დაჩაგრულია, რადგანაც ყველა დაწესებულებაში საქმე რუსულს ენაზედ სწარმოებს. რუსულის ენის ცოდნას-კი ხელს უშლის აწინდელი პროგრამა გიმნაზიისა, რომელშიაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ძველს, კლასიკურს ენებს. ამას შედეგად ის მოსდევს, რომ კავკასია მოკლებულია თვით ელემენტარულ სამოქალაქო უფლებასაც-კი და ამას მოკლებულის ერის კეთილ-მდგომარეობა ხომ ყოვლად შეუძლებელია.

საშუალო განათლების პროგრამაში ცვლილებათა შემოღებას დიდი ხანია კავკასია მოწადინებულია და ტფილისის თავად-აზნაურობამ, ჯერ კიდევ ამ სამის წლის წინად, ამის შესახებ საკმაოდ დაწვრილებული მოხსენება წარუდგინა საერო განათლების სამინისტროს. ამ ჟამადაც-კი ოდეს ყველა ამ გიმნაზიის პროგრამის შეცვლის შესახებ ლაპარაკობს და ოდეს თვით მთავრობაც ამ მხრით საქმის განკარგებასა და გაუმჯობესებას არის მოწადინებული, ჩვენის აზრით, კარგი იქმნებოდა, რომ მოეძებნათ უდ-

---

და მეორე გვერდით „სუდია“ და გზირი ჩაფიქრებულები ჯოხების წვერით იატაკსა ჰფხეკდნენ. იმათ წინ ირგვლივ დანარჩენნი, ზოგი ნალოებზე ჩამომსხდარი, ზოგი მოაჯირზე მიყუდებული და ზოგიც ჯოხზე დაყრდნობილი, მწერლის ლაპარაკს ისმენდნენ.

— მართლის თქმა სჯობია, ამბობდა მწერალი. არ უნდა ვსთქვა, მაგრამ ვიტყვი. ამ საქმისა ჩემოდენა არც მამასახლისმა, არც სუდიამ და არც სხვამ იცით. დამიჯერეთ, კაცო, მაგ სამსახურში დავბერებულვარ. უფროსთან ყველაზე ახლო მე ვიყავი. ამხანაგსავით ვყავდი, რჩევას მე მკითხავდა ხოლმე. თორემ პეტრო რომ აქ იყოს, ისიც დაგიმოწმებდათ.

— ჰო, მართალს ამბობს, მეც გამიგონია, დაუმოწმა ვილაცამ.

— აი თორემ ამ კაცსაც გაუგონია! ვიცი-მეთქი!... უფროსს ბძანებება აქვს პირდაპირ ხელმწიფისაგან. კანონია დაწერილი, ასე-და-ასე მოიქეციო, და ვინც ამ კანონს გადაბიჯებს, ციმბირში უკრავენ თავსა.

— ი კანონი რა კანონია, ივანე? ჰკითხა ერთმა გლეხმა მწერალს.

— რა კანონია! კანონია. კანონი-კი არა, ზაკონია! დაწერილია, ასე და-ასე უნდა მოიქცეო. მე თითონ ჩემი თვალით მინახავს, ამოდენაზეა გაჰრელებული! მწერალმა ორივე ხელი გაშალა.

—ეჰე ჰეი! გაიკვირვეს გლეხკაცებმა.

— ბატონი მობძანდება! სთქვა ვილაცამ და ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

— ნუ, ნუ ირჯებით გეთაყვა. ეჭვეწებოდა ნიკო, მაგრამ მაინც ყველამ იცვალა ალაგი. მე თქვენი საქმის გასაგებად მოვედი, ეგებ ჩემის რჩევითაც გაარიგოთ რამე. თუ ღმერთი გწამთ, დასხედით და თქვენი ლაპარაკი ისევე განაგრძეთ. მე სიამოვნებით მოვისმენ. თომა, შენ დაჯექი და სხვები შენ მოგბაძავენ.

— თქვენი ნებაა, უთხრა მოხუცმა და ისევ ნელა დაეშვა თავის ალაგას. სუდიამ და მამასახლისმა პატარა ყოყმანს შემდეგ თომას მიბაძეს, მაგრამ სხვები-კი დაჯდომას ვერ ახერხებდნენ.

— მაშ აბა განაგრძეთ, მიჰმართა ნიკომ ყრილობას, მაგრამ ხმას არავინ იღებდა: ზოგს სიცილი მოსდიოდა და კისერს მორცხვად იღერებდა, ზოგი დამალვას სცდილობდა. ნიკოს ჯავრი მოსდიოდა. ეს რა უბედურებაა, ისე მერიდებიან, თითქო კაცის მჭამელი ვიყოვო. ცეცხლია სწორედ გვარიშვილობა. ვფიქრობ, იქნება ერთი კეთილი სიტყვა მეც მოვახერხო და უთხრა ამ საწყალს ხალხსაო, და ის კი არა თუ სწორედ იმ სიტყვას ვერ იტყვი, ან თუ იტყვი, გულს არავის ჩასწვდება, რადგან იმათებურად ნათქვამი არ იქნება. აი დასწყევლოს და დაჰკრულოს ღმერთმა ის დღე, როდესაც კაცი კაცს ბატონად გაუხდა და ეს სიტყვა ქვეყნად გაჩნდა.

— მაშ ხმას არავინ იღებთ? ჰკითხა მოწყენით ნიკომ.

— რცხვენიანთ, შენი ჭირიმე, უპასუხა ღიმილით მოხუცმა.

— მაშ კარგი, ამ ხანად აღარ დაგიშლით და წავალ ისევ შინ. მოიცადე მე ჩემის რჩევით. დარწმუნდით, რომ მე თქვენთვის სიკეთის მეტი არა მინდა-რა. თქვენი გაჭირება და მწუხარება მეც მაწუხებს. რა-კი დაინახავთ ამას, იმედია, აღარ დამერიდებით. ღმერთმა გაუმარჯოს თქვენს საქმეს! დაუმატა ნიკომ და გულ-დამწვარი წამოვიდა შინ. ოცის ნაბიჯით არ მოშორებოდა კრებას, რომ ფრუტუნი მოესმა. ეჭვი არ იყო, ვილაცამ სიცილი ვერ შეიკავა.

— ვის დასცინის?! გაიფიქრა მწარედ ნიკომ და ნაბიჯს მოუმატა.

— რა რეტიანსავით მოვარდა! შენიშნა ერთმა, ნიკოს წასვლის შემდეგ.

— მე ზეკუცის მოხელე მეგონა და კინაღამ მოვუსვი, დაუმატა მეორემ.

— სუ, ბიჭო, რას ბრიყვობთ, მორიდება არ იცით, თუ რა არის! გაუჯავრდა მოხუცი კაცი კაცნიერებს.

— არა, შე ტიალო, ბატონმა იკადრა აქ მობძანება, შენთვის კეთილი მსურსო, გირჩევთ რასმე კარგსაო და შენ რეტიანს ეძახი! გაუჯავრდა სოსე იმას, რომელმაც დაუფიქრებლად წამოისროლა ის სიტყვები.

— ნასწავლია, ბიჭო, კანონები იცის, ეგებ შეელა მოეცა რამე.

რა, შვილოსა, ივანესაც უნახავს კანონები და აი ენახოთ, რა შველას მოგვცემს!

— რასა ბოდავ, შენა, ჰა?! გეუბნები, ჩვენთვის კეთილი სურს-მეთქი, დღე და ღამე ჩვენის კაცისთვის ჰფიქრობს, გაიმეორა სოსემ.

— რას ჰფიქრობს მერე! თუ ეგრე გული შესტკივა ჩვენზე, გვიწყალობოს ორიოდე თუმანი და ხვალვე გავისტუმრებთ ზეკუცას! ასე არ არის? დაეკითხა ხალხს. ხალხში სიცილი დაიწყეს.

გეყოფათ ლაქლაქი, საქმეს შეუდეგით, გააწყვეტინა მოხუცმა: ივანე, შენ რაღაცას კარგს ამბობდი.

— ივანემ ერთი გააპურჭყა, ულვაშებზე ხელი გადისვა და თავ მომწონედ განაგრძო წელანდელი ლაპარაკი.

— იმას ვამბობდი ოთხი კვირა, ერთი თვე, ეს არის და ეს, ამას ვერ გადააცილებს, თუნდ ქურდი გამოუჩინოთ, თუნდა არა...

— მერე, გააწყვეტინა გაანჩხლებით გლეხმა შიომ, რომელიც შორიდგან უბღვერდა.

— რა მერე! ეს არის და ეს.

— არა, შვილო, რაც გინდა სთქვა, სთქვი. ხანტი ხარისავით, ნუ იკლაკნები, დაუყვირა კიდევ შიომ.

— მე სხვა არა მინდა-რა და ეხლა უკეთესი შენა სთქვი!

— ვიცი, შვილოსა, გიცნობ რა ბიჭიკა ხარ! შენ რა გენაღვლება, დაუმატა სოსემ: ქათამა არ გიკლავენ და ძროხას. ჩვენ იქ ჰგვაქ და შენ იმასთან შეექცევი!

— მაგ კაცისა რა ბრალია მერე! წამოესარჩლა მამასახლისი: უფროსი ჰპატიჟობს და უარს ხომ ვერ ეტყვის.

— ის ბრალია, რომ ჩვენ აქ გვარიგებს, ასე მოიქეცითო, და უფროსს-კი იქ აქეზებს, წამოიყვირა შიომ და თან თითოეულს სიტყვას ხელის ქნევითა და პარჭყვით ამტკიცებდა.

— როდის გაიგონე, რომ ვაქეზებდი! ისემც ტყუანს ტყვია ჩაესხას, ღმერთი გაუწყრეს!

— ამინ, მიატანა შიომ: მაგრამ შენ რომ ღმერთი არა გწამს და არც სვინიდისი გაქვს!

— როდის მოგატყუე, ჰა? როდის დამიჭირე უსვინიდისობაში? იწყინა ივანემ.

— არა, მაშა და სხვის ქათმებს მე ვიჭერ. გოგოები ჩემი შიშით ვერ გამოდიან გარედა, არა!

— მართლა, შვილო, მე რაღაცა გავიგონე შენზე, უთქრა მოხუცმა.

— შენ რაღას ჰბოდავ, ბებერო, ჭკუა გამოგლევია, ლაპარაკობ, დაუყვირა სიანჩხლით ივანემ.

— სუ ბიჭო, რას ბრიყვობ! წასძახეს აქეთ იქით.

— შენ ეი, წამოიყვირა სოსემ: ნაჩაფრალი ხარ, თუ რაღაც ჩემი ფეხები, შენი-კი არ მეშინია, ჩაგიდებ ქვეშა და ტყირპს გაგაგდებინებ ცემითა! შენ მე არ მიცნობ!

— კმარა, შვილო, ნუ შფოთავ, ამშვიდებდა მოხუცი სოსეს.

— რა კმარა წამოიძახა შიომ: კმარა-კი არა, ეგ არის საციმბირო ეგ არის ქურდი, ქვეყნის ამაჭდები! მეზობელი როგორ გავიმეტოთ?! არ მინდა მაგის მეზობლობა. დღესვე ვეტყვი უფროსს, აი ქურდია-მეთქი.

— უთხარი, ძმაო, ენახოთ ვის დააკლდება, უპასუხა ივანემ: შენ, ძმაო, ძროხა დაგიკლეს და იმაზე გეწვის გული.

— მაშ არ იცი, რომ მეწვის? ერთ ცვილად მიღირდა იმისთანა დეკეულა წამომიქციეთ!

— მერე ჩემზე იყრი ჯავრსა? კარგი, ენახოთ, დაემუქრა ივანე და ნელის ნაბიჯით კანცელარიისკენ გასწია.

— წადი, იუდა, წადი, მაჭანკლობა გაუწიე! მე კარგა გავიგონე გუშინ შენი ლაპარაკი, წადი, წადი, შე ძაღლო, შენა! მიაძახა გულ-მოსულმა შიომ და ხალხს მოუბრუნდა: არა ძმაო, ამაზე მეტი აღარ შე-

როდ გადაჩქმალული და ბოლო მოღებული მოხსენება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა და დაკმაყოფილებინათ სამართლიანი სურვილი რუსეთის თავ-დადებულისა და ერთგულის ერისა. დღე, იმ ქვეყანამ, რომელიც აქამდე გვნიოსობას სამხედრო ასპარეზზედ იჩენდა, ამიერიდგან სამოქალაქო მოღვაწეობის მშვიდობიანს მოედანზედ დაგვანახვოს თავისი ძალა და ღონე, თავის წინ-სვლა და წარმატებაო.

## სიტყვა იმპერატორის ვილჰელმისა თქმული ბრანდენბურგში.

უპირველესად გმადლობთ, ბატონებო, მისთვის, რომ მიწინდომეთ ჩემი ნახვა და ყოფნა თქვენ შორის დღეს საღამოს.

სამი წელია მას აქეთ, რაც აღარ მინახავს ჩემი ბრანდენბურგელები, თუ არ ვიანგარიშებთ ჩემს აქ ცოტას ხანს ყოფნას შარშან. ამ სამს წელიწადში ბევრი რამ მოხდა საყურადღებო.

ხშირად უკვირდა ყველას და უცხოელებს ხომ აოცებდა ის მტკიცე კავშირი, რომელიც ჰოჰენცოლერნებსა და ბრანდენბურგელებ შორის არსებობს. ეს კავშირი იმაზეა დამყარებული, რომ ბრანდენბურგელებს ხშირად ჰქონდათ შემთხვევა თვით საქმით დაემტკიცებინათ ხოლმე თავიანთი ერთგულება და სიყვარული ჰოჰენცოლერნების სამეფო სახლის წინაშე. ნება მიბოძეთ მოგაგონოთ ჩემი წინაპარნი და მათ შორის უპირველესად დიდი კიურფირსტი, რომლის შესახებაც მე ყოველთვის სიამოვნებით გელაპარაკებით ხოლმე, იმიტომ-რომ იმას სიცოცხლეშივე დიდს ბრანდერბურგელს ეძახდნენ. მეორედ მოგაგონებთ კიდევ დიდს ფრიდრიხს. ორივენი თავისს უპირველეს მოვალეობად სთვლიდნენ თავიანთ სასარგებლოდ არ მოეხმარათ ამ ქვეყნის ღონე და შეძლება. ამბობენ ეს, მწირი ქვეყანა ამჯობინეს იმათ წინანდელ თავიანთ სამშობლო სამხრეთს გერმანიისას და ისე შეიტკბეს და შეითვისეს, რომ ახალ სამშობლოს ინტერესებს აღარ განასხვავებდნენ თავიანთ საკუთარ ინტერესებისაგან და უმაღლეს საქმედ სთვლიდნენ, ელვაწნათ მის სასარგებლოდაო.

ჩემს კაბინეტში ჩამოკიდებულია ერთი სურათი, რომელსაც დიდი ხანია ყურს არავინ უგდებდა: იმაზეა გამოხატული რამდენიმე თავ-მომწონე ხომალდი, რომელზედაც ფრიალობენ დროშანი ბრანდერბურგის წითელის არწივისა. ეს სურათი ყოველთვის იმას მაგონებს, რა ნათლად ჰქონდა შეგნებული ჯერ ისევ დიდს კურფირსტს, რომ ბრანდერბურგს უნდა დაეპყრო ადგილი მსოფლიო სავაჭრო მეიდანზე, სადაც უნდა წასულიყო გასასყიდად ნაყოფი მისის შრომის-მოყვარეობისა და ამაგისა. დიდია წარმატება, რომელსაც მიაღწია მის შემდეგ მრეწველობამ პრუსიისა და გერმანიისამ, მეტადრე პაპი ჩემის დროს. ერთი ჩემი ნატვრა ეხლა ის არის, რომ ხელი შეუწყო ჩვენს ეკონომიურს წარმატებას: ამიტომ პირველში ვთქვი ჩემი ძალა და ღონე მივმართე მშვიდობიანობის დაცვას გარედ და მერე მივმართე საქმეებს შინ.

რაც უნდოდა და სწყუროდა პაპაჩემს, ისვე იქნება ხელ-მძღვანელად ჩემს მოღვაწეობაში. მივსდევ რა მის კვალს, მე მიმაჩნია რომ საყურადღებო ჩემი საქმეა ვიზრუნო ჩემ მდაბიო ქვეშევრდომთათვის. რაც კარგი გადაწყვიტა სახელმწიფო საბჭომ და რაც, იმედია, მალე კანონად გადიქცევა საკეთილ-დღეოდ ჩვენის ქვეყნისა, იმაში მე დიდად დავალებული ვარ ბრანდენბურგელების თავდადებულ და ერთგულ დახმარებითა...

....პაპა-ჩემი ამბობდა, რომ ჩემი მეფობა თვით ღვთისაგან მონდობილი საქმეა და ყოველის ძალითა და ღონით უნდა ვეცადო, რომ ეგ საქმე კარგად და პირ-ნათლად შევასრულოვო. ასე ფიქრობდა პაპა-ჩემი და ასე ვფიქრობ მეც, ერი და ქვეყანაც მე მგონია ძვირფასი განძია, რომელიც ღმერთს ჩემთვის მოუნდვია, მოუბარებია და მეც, როგორც დაბადებაში სწერია, უნდა გავამრავლო, გავაბევრო იგი განძი და თავის დროზე ანგარიში უნდა მივცე. ფიქრადა მაქვს, რამდენადაც გონება გამიჭრის, ისე განვაგო და ვმართო საქმე ამ განძისა, რომ ერთი ორად და ერთი ათად გავხადო. სულით და გულით ვსთხოვ ყველას, ვინც უნდა იყოს, მობრძანდეს და დამეხმაროს, თუ დახმარება სწადიან ჩემი აქ საქმეში. მაგრამ იმათ-კი, ვინც დაბრკოლებას გამიწევს, გავსრესავ, გავანადგურებ“...

ჩემს მოგზაურობაში მე მარტო ისა მქონდა საგნად, რომ გამეცნო უცხო ქვეყნები და მათი სახელმწიფო წყობილებანი. მარტო ის არა მქონდა საგნად, რომ მეგობრობა ჩამომეგდო გერმანიასა და მის მეზობლებ შორის. ეს მოგზაურობა უფრო მით იყო ძვირფასი ჩემთვის, თუმცა-კი, ვინ იცის, რა აზრი არ დამწამეს მათ გამო, რომ მოვშორდი აქაურს ღასთა ბრძოლას და შორიდამ გულ-დამშვიდებით შემოვცქეროდი ჩემა ქვეყანას და მის საქმეთა მსვლელობას გულ-დასმით ვაკვირდებოდი. ვინც ოდესმე მდგარა გემის ერდოზე დიდსა და გაშლილს ზღვა-ოკეანეში ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ მარტოდ-მარტო და ჩაჰკვირვებია ამ დროს თავის სულიერს არსებას, თავის სინიდისს, იმას კარგად ეცოდინება, რა ძვირფასია ადამიანისათვის ასეთი მგზავრობა. ნეტავ ყველა ჩემს თანამემამულეს გამოეცადოს ასეთი მდგომარეობა, როცა კაცი თავის თავს აძლევს ანგარიშს იმისას, თუ რა გააკეთა, რა საქმე სრულ-ჰყო. ამ დროს თავს ანებებს კაცს გულ-ზვიადობა, მედიდურობა, რომელიც ასე ბევრს შეჰყრია სენად ჩვენ შორის.

## რუსეთი

შარშან 12 ივლის გამოიცა ახალი დებულება რუსეთის შინაურის მართვა გამგეობისათვის და ეს ახალი დებულება უკვე შემოღებულ იქმნა ამ ცოტა ხანში ზოგიერთს შუა-გულ რუსეთის გუბერნიაში. მერე აქედამ სხვა გუბერნიებშიაც გავრცელდება და ბოლოს სულ ორიოდ სამიოდე წლის შემდეგ ჩვენამდინაც მოაღწევს. ამ საგანზე ჩვენს გაზეთში რამდენიმე წერილი იყო დაბეჭდილი. ეხლა ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას დებულების იმ ნაწილს, რომელიც შეეხება გლეხთა დასჯას წკეპლით. წინანდელ დებულებით გლეხთა სასამართლოს შეეძლო დაესაჯა გლეხი ყველა იმ დანაშაულობისათვის, რომელიც-კი იმისი განსახილველი იყო. ახალის დებულებით-კი მხოლოთ ზოგიერთს შემთხვევაში შეუძლიან გლეხთა სასამართლოს დასჯა გლეხებისა წკეპლით. წინად სასამართლო მაინც იშვიათად მიჰმართავდა ხოლმე ამ გვარ სასჯელს. თუ განუწესებდა ძველი სასამართლო წკეპლის დაკვრას აქამდე, მხოლოდ მაშინ განუწესებდა, როცა გლეხს ჰბრალდებოდა ქურდობა, უპატივცემლობა მშობელთა და როცა თავის დროზე არ შეჰქონდა სახემწიფო ხარჯი და გადასახადი. ახალის დებულებით-კი მრავალი დანაშაულია ჩამოთვლილი, რომლისათვისაც სასამართლოს ნება აქვს დასაჯოს დამნაშავე 20-ჯერ წკეპლის დაკვრით, მაგლითად: ქურდობა, ავკაცობა, სხვის ქონების დაჩემება, ყიდვა და დაგირავება ნამდვილად ნაქურდალის, ფლანგვა ქონებისა, ლოთობა, გაბიაბრუება პოლიციისა და სხვა ყარაულებისა, ჩხუბი, ცემა-ტყეპა, მოუსვენრობა, სიტყვიერად გაბიაბრუება უფროსის ნათესავისა, დამუქრება მოკვლით და გადაწვითა, ძალმომრეობა, თვით-ნებობა და წინაალმდეგობა ღარიბ მშობელთათვის. კანონი მოიხსენიებს აგრეთვე დანაშაულობად იმ გარემოებასაც, რომ მუშა მიიღებს ფულს ბეთა და არ მივა-კი სამუშაოდ პირობისამებრ. ერთის სიტყვით, ბლომად არის ჩამოთვლილი ყველა ის შემთხვევა, როცა წკეპლა უნდა მომზადდეს დამნაშავე გლეხისათვის. ახალი კანონით „ზემსკის ნაჩალნიკის“ ნებაზეა, ამ გვარი გადაწყვეტილება აღსრულდეს თუარა. ამ უფროსს შეუძლიან შესცვალოს გადაწყვეტილება სოფლის სასამართლოსი: ან დაამტკიცოს წკეპლით დასჯა, ან უარ ჰყოს, ან კიდევ წკეპლით დასჯა მოითხოვოს იქ, სადაც სასამართლოს მცირე სასჯელი განუწესებია. ახალის კანონით, წკეპლა არ დაეკვრის 70 წლისაზე ხნიერს. ძველის დებულებით-კი 60 წლისაზე ხნიერს ვერ დაეკროდა წკეპლა. ახალის წესით წკე-

---

მიძლიან! ზიარების მადლმა, ნახირი რომ მოდის და ჩემს დეკეულას ვეღარა ვხედავ, გული მიკვდება. რისთვის მიიყვანეთ აქამდინ საქმე? ქურდს და სოფლის ამომგდებს რისთვის ვინახავთ? ვინ არის მაგის მადრიელი: კაცი მაგას ემდურის და ქალი! რას მიკეთებს აქა! მთელი დღე კანცელარიაში წამოწოლილი გდია, მწერალი ვარო, საქმე ვიციო. რა შავი ქვა იცის? ვის რა გაუკეთა იმის მეტი, რომ თავის სნეულობა ლამის ყველას გადაგვდოს. აიგერ ანდრია ბიჭს ცხვარი ულპება და მაგას-კი ვერ მოერია ეგ ჭირი!

— ცოდოა... წაიბუტბუტა ვიდაცამ.

— ცოდოა! ცოდოა! მე ვიცი ცოდო-შვილი აუტირდება! ზოგი ჩემს გულში ჩაიხედეთ, მე-კი არა ვარ ცოდო!

— მართალს ამბობს, წაიბუტბუტა ყველამ.

— ჯერ ჩემი დეკეული არ დეეკლათ, რომ მე ამას ვამბობდი. ეხლა მეუბნებით, მართალია, მართალიო. მაშ არ იცით, რომ მართალი ვარ! დააყვედრა ხმის კანკალით შიომ.

— შიო, შენი დეკეულა სოფელმა უნდა გაგიხადოს, ძმაო, უთხრა სოსემ.

— ჰო, ჰო, სოფელმა უნდა გადიხადოს, მიატანა ყველამ.

— არ მინდა, არა! უთხრა მწარედ შიომ: ის კაცი მომაშორეთ, ის კაცი! სხვა არა მინდა-რა.

— მეტი რა გზა გვაქვს, ეგრე უნდა მოვიქცეთ, სთქვა ერთმა.

— ვინ ეტყვის უფროსს, ჰკითხა მამასახლისმა: მე კი ვერ ვეტყი და! თუ შიო ეტყვის..

— არა, ძმაო, მე არ შემიძლიან, ვერ ვეტყვი, გააწყვეტინა შიომ.

— მოდი, დღესაც მოვიცადოთ, სთქვა სოსემ, ბატონს შევეხვეწები და ეგებ გვიშველოს რამე.

— ბატონმა რა უნდა გვიშველოს! ივანეს უიმისოთაც მოვიშორებთ.

— ივანეს რა ბრალი აქვს, შენიშნა ერთმა.

— ალბად ბრალი აქვს, რომ გეუბნებით, სთქვა თითქმის ტირილით შიომ.

— ძალიან უწყენინებია... წაიბუტბუტა ყველამ.

— ერთი დღეც გავძლოთ, ძმაო, სთქვა ისევ სოსემ: მეც შენზე ნაკლებ არ მეჯავრება ის ოხერი, მაგრამ საციმბიროდ ნუ გავიმეტებთ. მერე თუ მოკვინდა, ჩვენც კარგად გავდევნით სოფლიდგან.

— გავდევნით... გაიმეორა შიომ და კრებას ზურგი შეაქცია.

— სოსემ კარგი სთქვა, დღესაც მოვიცადოთ, ეგებ რამე გვეშველოს, სთქვა ერთ-ხმად ხალხმა.

ამ დროს უფროსისაგან გამოგზავნილი ჩაფარი მოვიდა და ყველანი, მოხუცს გარდა, კანცელარიაში წავიდნენ. კანცელარია სოსეს სახლის სისწვრივ იდგა და ნიკოს სახლიდგან იმავე მანძილზე იყო, რამდენზედაც სოსეს სახლი.

ეგზეკუციის უფროსი სიცილით ემუსაიფებოდა ივანეს. ხალხი რომ მივიდა, მან უცბად წარბები შეიჭმუხნა და იმათ სალამს პასუხიც არ აღირსა.

— რას გაჩუმებულხართ! სთქვით რალა, ვინ არის ქურდი? მიჰმართა მრისხანედ უფროსმა.

ხალხი თავ-ჩაღუნული იდგა და ხმას აღარ იღებდა.

— შენ, მამასახლისო, რას გაჩუმებულხარ? ციმბირში გიკრავ თავს, თუ არ იტყვი.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, არა სტყდებიან და რა უყო!

— რას ამბობ, კაცო, რაში უნდა გამოვტყდეთ, რომ ქურდი არა გვყავს, უთხრა სოსემ.

— შენ რა სულ სხვის მაგიერად ლაპარაკობ, გაუჯავრდა უფროსი სოსეს: იქნება ციხეში ჯდომა მოგინდა!

— ხომ გითხარით, შეილოსა, უარესი დაგვემართება-მეთქი, მიატანა შიომ.

— შენ რაღას ამბობ, რა უარესი დაგვემართებაო!

— არაფერი, შენი ჭირიმე, იმას უთხარი.

— მერე რა უთხარი! თქვი, ვინ არის ქურდი, თორემ ეხლავე გაგაროზგინებ!

— რას მიყვირი, შე დალოცვილო! მე რა ვიცი, ვინ არის ქურდი! ქურდის ხომ არა ვარ!

— შეჰხედეთ ამ ბრიყვს, როგორ მიბედავს ლაპარაკს! წაიყვანეთ, ეხლავე ჩაამწყვდიეთ ბოსელში! უბძანა იქ მდგომ ჩაფრებს: ხვალამდის ლუკმა პური არ მისცეთ.

— რისთვისაო, რა ვქნა?! ნეტა რა დამიშავებია, დახეთ ერთი!.. და მეტის თქმაც აღარ აცალეს, ისე თრევით ბოსლისკენ წაიყვანეს.

— სოსე! შეეხვეწა შიო შორიდგან: ცოლს ყური მიგდე და სახლს არ მოშორდე ამაღამ.

უფროსმა და ივანემ ამ სიტყვებზე ერთმანეთს გადაჰხედეს.

— მაშ რისთვის მოხვედით! განაგრძო უფროსმა: რა გულის გასახეთქად დგეხართ, წაეთრიეთ. თუ თქვენი სარგებლობა თქვენ თითონ არ გესმით, ჯანი გაგვარდეთ, ნუ იტყვით. თქვენ დაგაკლდებათ, თორემ მე რა მიშავს! ჩემს ჩაფრებს უხარიანთ კიდეც! ასე არ არის, ივანე? მიმართა უფროსმა სიცილით.

ამ სიტყვებით ორივენი ოთახში შევიდნენ. ხალხი წყნარად დაიშალა

— ი დედაკაცს უნდა შევატყობინოთ შიოს დაჭერა, სთქვა ერთმა.

— მე თითონ გავუმჟღავნებ, უპასუხა სოსემ.

— სოსე, ისევ შენ უნდა გვიშველო რამე, უთხრა მეორემ; თორემ ივანე ისე შეუძვრა უფროსს, რომ, თუნდ კიდეც უთხრათ, იქნება აღარც-კი დაგვიჯეროს და გაჯავრებულმა უარესი დღე დაგვაყენოს.

— ჰო, სოსე, შეგვახვეწე ბატონს!

— ღმერთი მოწყალეა, მე დიდი იმედი მაქვს იმისი.

სოსე მივიდა შიოს ცოლთან და, რა დაამშვიდა გულ-გახეთქილი ჯერ კიდევ ახალგაზდა ქალი, თავის სახლში წამოიყვანა: ამაღამ აქ დარჩი და ხვალამდის იქნება კიდეც გამაშვებინოვო.

სოსემ დასტოვა გულ-საკლავად მტირალი დედაკაცი და ნიკოსკენ გაეშურა.

ნიკოს სადილი გაეთავებინა და ლათოს „გლახის ნაამბობს“ უკითხავდა, როდესაც სოსე იქ შევიდა. ნიკომ მაშინვე წიგნის კიდეხვას თავი მიანება და სოსეს დაუწყო ლაპარაკი:

— რა გააკეთეთ, რით გაათავეთ საქმე?

— ვერაფრით ვერ გავათავეთ, შენი ჭირიმე. აკი მოგახსენეთ, ვერ ვიმეტებთ. თქვენთან შესახვეწად სოფელმა გამომგზავნა: გავწყდით, მეტი აღარ შეგვიძლიან, უფროსთან გვიშუამდგომლე, ეგებ რამე გვიშველოვო.

— როგორ? ჩემთან გამოგგზავნა სოფელმა, მე მომმართა? გაიკვირვა ნიკომ და რაღაც ტკბილის იმედით სავსე ღიმილით გაებრწყინა სახე. რამდენისამე საათის წინად მასხარად აგდებულმა ეხლა ის იგრძნო რასაც ბრალ ახდილი ბრალდებული ჰგრძნობს, როცა საჯაროდ ბრალს ახდიან. ეხლა უნდა დავამტკიცოვო, ჰფიქრობდა ნიკო, თუ მართლა მზადა ვარ დახმარება გავუწიო ხალხს. სიხარულით ძლივს-ღა იჭერდა ნიკო თავს. ნიკომ მაშინვე უფროსთან ბიჭი გაგზავნა და თითონაც წასასვლელად მზადება დაიწყო.

ნიკო გახარებული სოსეს ეხუმრებოდა, როდესაც ბიჭმა მოუტანა ამბავი, რომ უფროსსა სძინავსო. ამ ამბავმა ისე დაალონა ნიკო, თითქო ერთის საათით საქმის გადადება დიდად აზარალებდა სოფელს.

— ხვალ იყოს, ბატონო, დღეს ხომ მაინც აღარა იქნება-რა, უთხრა სოსემ დასამშვიდებლად.

— ხვალა? ხვალამდის როგორ მოვიცადო! წაიბუტბუტა ნიკომ თავისთვის: მაშ კარგი, ხვალ იყოს, ოღონდ შენ დღესვე შეატყობინე ყველას, რომ ხვალ ეგზეკუცია ან სულ გაეცლება სოფელს, ან თუ ვერ გავისტუმრე, მე ვტვირთულობ იმის ხარჯსა და გაძღოლას.

— გაცოცხლოს ღმერთმა, სოფელი ცას დაეწევა სიხარულით. წავიდეთ, გოგო, უთხრა სოსემ თავისს დას და გახარებული და-ძმანი გაცვივდნენ გარედ.

პალიკო ყიფიანი

(შემდეგი იქნება)

პლა არ დაეკვრის აგრეთვე სოფლის მეხელეს, სოფლისაგან არჩეულს. ძველის წესით-კი არ დაეკვროდა იმათ, ვისაცა პატიოსნად ემსახურა მოხელეობაში. ახალის კანონით გემოდის, რომ თუნდა პატიოსნადაც ემსახუროს გლეხს მოხელეობაში, შემდეგ შეიძლება მაინც ამ გარემოებამ არ დაიხსნას წკეპლის დაკვრისაგან რომელისამე ზემოდ-ჩამოთვლილის დანაშაულობისათვის.

— ემილ ზოლასთვის უთხოვნიათ რუსეთის ლიტერატორებს, პეტერბურგში ლექციები წაიკითხე ლიტერატურისა და თეატრის შესახებ, მაგრამ იმას უარი შემოუთვლია, ახლა პარიჟს თავს ვერ დავანებებო.

## წვრილი ამბები

ერთი ბელგიელი ვაჭარი ჭყიდის თურმე ახლა ისეთს პერანგებს, რომელსაც, როდესაც-კი გნებავთ, მაშინვე შეგიძლიანთ ამოალებინოთ ყოველ ნაირი სასიამოვნო და ყურის დამატკბობელი სამუსიკო ხმები. ამ მოხერხებულს ვაჭარს პერანგების საყელოებში დიდის ხელოვნებით ჩაუკერებია სხვა-და-სხვა გვარი სამუსიკო იარაღი და თითოეულს იარაღს ზემოდგან შესაფერი ნიშანიცა აქვს, რომლის შემწეობითაც სწორედ ის სამუსიკო იარაღი შეგიძლიანთ აამღეროთ, რომელიც გნებავთ.

— „ივერიის“ მკითხველებს ეხსომებათ ამერიკელ რეპორტიორ-ქალის მის ბლეის ამბავი, რომელმაც სამოცდა-თორმეტის დღის განმავლობაში მთელი ქვეყანა შემოიარა. ამ გაბედვის ქალის დიდება თურმე მოსვენებას არ აძლევს სხვა ბევრს ამერიკელს და აი ამერიკის ერთს ცნობილს მწერალს, ფრენსის ტრეინს, განუზრახავს ახლა ქვეყანა, სამოც და-თორმეტს დღეში-კი არა, არამედ სამოცის დღის განმავლობაში შემოიაროს.

— ერთი ამერიკელი ხომალდი მიახლოვებია თუ არა ერთს მყუდრო ოკეანეში მდებარე კუნძულს სან-ალექსანდროს, თვალი მოუკრავს, რომ კუნძულიდგან რაღასაც გვანიშნებენო. ხომალდი მაშინვე შეუჩერებიათ და რამდენიმე მატროსი ნავით გასულა კუნძულზე აქ უნახავთ სამი სრულიად ტან-შიშველი ინგლისელი, რომელთაც უამბნიათ, რომ ოთხი წელიწადია მას აქეთ, რაც იაპონიის ერთი ხომალდი, რომელზედაც ჩვენც ვიმყოფებოდით, დაიღუპა, ზღვამ აქ გამოგვაგდო და მრავალი გაჭირება გამოვიარეთო და ამ ოთხის წლის განმავლობაში ბევრმა ხომალდმა გამოუარა კუნძულს ახლო, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეგვნიშნა, თუმცა ყოველს ღონეს ვხმარობდით იმათი ყურადღება მიგვექცია, ასე რომ ყოველი იმედი ხსნისა დაკარგული გვქონდა კიდეც თქვენ მოსვლამდეო.

— კანადაში ამას წინად არა-ჩვეულებრივი ამბავი მომხდარა. თექვსმეტის წლის წინად ქალაქ ვინნიპეგს ახლოს დაუმარხავთ გარდაცვალებულ ქალის ადელაიდა როლანდის გვამი. ამას წინად ამ ქალის ქმარმა განიზრახა თურმე თავისის ცოლის ძვლები სხვა სასაფლაოზე გადაეტანა, მაგრამ როცა საფლავი ამოთხარეს და კუბოს წაატანეს ხელი, კუბო ისე დამძიმებულიყო, რომ დიდის გაჭირებით ამოიღეს. თავი ახსნეს კუბოს და, ძვლების მაგიერად, აი რა სურათი წარმოუდგათ გარდაცვალებულის სხეული ისეთ ნაირად შენახულიყო, რომ თითქმის ვერაფერს ცვლილებას ვერ შეამჩნევდა ადამიანი, სახე და სხეული სულ არა ჰქონდა შეშლილი, ასე რომ ვერავინ იტყოდა, თექვსმეტის წლის მკვდარიაო, სრულიად ახლად დამარხულსა ჰგავდა, თუმცა-კი სახის გამომეტყველება ქანდაკების სახეს მიემსგავსებოდა. თურმე ნუ იტყვით იმ სასაფლაოს ახლო, სადაც ადელაიდა როლანდის გვამი იყო დამარხული, მარილ და კირ-ნარევი წყარო გადიოდა ამ წყაროს სამარეში ედინა და ქალის გვამი ისე გაექვავებინა, რომ ჩვიდმეტ ნახევარ ფუთს იწონიდა თურმე.

## დეპეშა

### 3 მარტი

**როსტოვი.** დონისა. მდ. დონში ქალაქს ახლო ყინული დაიძრა.

**რიგა** ქალაქ ზემოდ მდ. დვინზედ ყინული დაიძრა.

**ლონდონი.** ამ ჟამად მუშაობა შეუწყვეს ლანკასტეიზის, იორქშეირის, დერბიშეირისა და ჩრდილოეთ კალისის 120,000 ნახშირის მღვიმე-მაღაროში. მუშაობის აკვეთა იმას გამოუწვევია, რომ მუშებისათვის ფასი არ მოუმატებიათ.

ოსმალეთმა ბრძანება გასცა, რომ საბერძნეთის საზღვარზედ ჯარი გაამრავლეთ და ამ საზღვარზედვე უფრ-მახვილი ზედამხედველობა იქონიეთო.

### 4 მარტი

**ბერლინი.** გუშინ შეგროვდა პირველად კონფერენცია მუშათა საქმეზედ მოსალაპარაკებლად. დელეგატებს მიემატა ვაჭრობათა მინისტრი კანცლერის სასახლის საკონგრესო დარბაზში და სთქვა, რომ მუშათა საქმის გადაწყვეტას ვალადა გვდებს არა მარტო კაცთ-მოყვარეობა, არამედ სახელმწიფოს დაცვისა და დაფარვის ზრუნვაცაო. კონფერენციის პრეზიდენტად ამორჩეულ იქმნა ვაჭრობათა მინისტრი ბერლეპში. ყოველს დელეგატის თითო ხმა აქვს. კონფერენციის მოლაპარაკევი საიდუმლოდ იქნება დაცული იმ დრომდე, ვიდრე საქმე სულ ერთიან არ გადასწყდება.

**პარიჟი.** ახალს სამინისტროს ადგენს ფრეისინე.

### 5 მარტი

**პეტერბურგი.** სამოსწავლებო კომიტეტი უწმ. სინოდისა აცხადებს რომ ასი თუმანი ჯილდო მიეცემა მოსკოვის მიტროპოლიტის მაკარისა იმას, ვინც უკეთესს სახელმძღვანელოს შეადგენს სასულიერო სემინარიებისა და სასწავლებლებისათვის.

რეველში ნება დართულ იქმნა იბეჭდებოდეს რუსულად «Ревельскій Листокъ»-ი.

„Гражд.“-ი იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭოს წარედგინა პროექტი შინაგანთა საქმეთა სამინისტროში ემერიტალურის კასის გაარსებისა ყველა იმათთვის ვინც რკინის გზების სამსახურშია.

„Новости“-ი იუწყება რომ ახალის კანონით შესახებ მცირე წლოვანთა მუშაობისა დაწესებულია ჯარიმა, რომელიც უნდა გადახდეს ფაბრიკებისა და ქარხნების პატრონებს ამ კანონის დარღვევისათვის.

სახელმწიფო საბჭოს წარედგინა პროექტი რომ დაწესდეს ბაიკალზე ახალი მიმოსვლა გემებისა საქონლისა და ხალხის გადასაყვან-გადმოსაყვანად დანიშნულ კადისამებრ.

„Новости“-ი იუწყება, რომ სახალხო განათლების სამინისტროში კვლავ დაიწყეს შედგენა იმ პროექტისა, რომ დაწესდეს ემერიტალური კასა სრულიად რუსეთის პირველ დასაწყისი სასწავლებელთა მასწავლებელთათვისაო.

**ბერლინი.** ელბერფელდს ახლო ასცდა რელსებს საქონლის მატარებელი და ვუპპერის მდინარეში გადავარდა. ამბობენ, რომ ალბად ყველანი დაიღუპნენ, ვინც-კი იყვნენ იმ მატარებელზეო.

### პეტერბურგის ბირჟა, 1 მარტს.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — " | " | 7 31 |
| ტამოჟნის კუპონები | — " | " | 145¾ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 08 | | |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 238 | — " | " |
| —მეორისა | 225 | — " | " |
| —მესამისა | — " | | 218½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 87½ | — | — " |
| ქუთაისის ბანკისა | 99 | — " | — " |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 98½ | — " | — " |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

მარტი 31 დღით არის

**6 დღე სამშაბათი.** ქართველ წმ. ორმეოც-და ორთა მოწამეთა ამორეველთა. თეოდორესი, კონსტანტინესი და სხვ. კათოლ. წმ. ვიქტორისა, კოლეტი და ლუდგარდისა. სომეხ 23 დღე დიდ-მარხვისა. სოფლის ნაწარმოების პირველი გამოფენა ტფილისში, 1850 წ. მზე ამოდის 6—7, ჩადის 6—11. ჭეშმარიტი შუადღე 12—8, მთვარე 28 დღისაა.

**7 დღე ოთხშაბათი.** ქართველ. წმ. მღვდელ-მოწამეთა ქერსონეთის ეპისკოპოსთა: ვასილი, ეფრემ, კაპიტონ, ევგენი და სხვათა. კათოლ. წმ. თომასი, პერპეტუი და ფელიციტისა. სომეხ. 24 დღე დიდ-მარხვისა. მზე ამოდის 6—55, ჩადის 6—12. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7, მთვარე 29 დღისაა.

## განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ რიცხვიდგან გამგეობაში შეიძლება იმ ცნობათა მიტანა, თუ ვის რამდენი ბუხარი აქვს გასაწმენდი. ცნობა უნდა შემოიტანონ ყველა სახლის პატრონებმა იმ ბუხრებ შესახებ, რომელიც დასახელებულ სახლებშია, სამზარეულოებში და აგრეთვე სახელოსნო და სამრეწველო დუქნებში. ესევე ცნობა შეუძლიანთ გვაცნობონ იმ ბუხრის მწმენდავთა პირით, რომელნიც გამგეობასა ჰყავს დაქირავებული. ცნობაში ნამდვილად უნდა იყოს აღნუსხული, თუ ვის რამდენი ბუხარი აქვს გასაწმენდი და აგრეთვე ადრესი. ამასთან უნდა წარმოდგენილ იქმნეს თითო ბუხარზედ ორი მაური.

(3—1)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | 6 თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 " | 9 " 50 " | 5 " | 5 " 25 " |
| 10 " | 8 " 75 " | 4 " | 4 " 70 " |
| 9 " | 8 " — " | 3 " | 3 " 50 " |
| 8 " | 7 " 25 " | 2 " | 2 " 50 " |
| 7 " | 6 " 50 " | 1 " | 1 " 75 " |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ, პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ვეღარ მოსთხოვენ.

არა გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21

# ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ГАЗЕТУ

# „КАВКАЗСКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ“.

Содержаніе газеты: частныя объявленія и рекламы, которыя принимаются къ напечатанію на русскомъ, французскомъ, нѣмецкомъ, армянскомъ, грузинскомъ и татарскомъ языкахъ: свѣдѣнія, имѣющія справочный характеръ, какъ то: получаемыя въ Тифлисѣ телеграммы „Сѣвернаго Агентства“, биржевыя, промышленныя, торговыя и коммиссіонныя справки, полицейскій, думскій и судебный бюллетени съ извѣстіями о банкротствахъ и торговой несостоятельности, некрологи, списки недоставленныхъ телеграммъ, такса на продукты, календарь время отхода и прихода поѣздовъ з. ж. дороги и пароходовъ на Черномъ и Каспійскомъ моряхъ, а также срочныхъ экипажей по военно-грузинской дорогѣ; врачи и врачебная помощь, театры, зрѣлища, увѣдомленія о засѣданіяхъ обществъ, актахъ, юбилейныхъ и другихъ торжествахъ и народныхъ праздникахъ, свѣдѣнія о полученныхъ грузахъ и товарахъ и т. под.

## ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

**Городскимъ подписчикамъ:**

На годъ съ доставкой на домъ. 1 р. 20 к.
На полгода . . . . . — 80 „

**Иногороднымъ подписчикамъ:**

На годъ съ пересылкою. 1 р. 80 к.
На полгода „ . 1 р. —

Городскіе подписчики, получающіе -какія-либо изданія, выходящія въ г. Тифлисѣ, **платятъ**, по предъявленіи ими квитанціи на подписку въ контору газеты **«Кавказскія Объявленія»** и въ отдѣлъ, лишь **60 к въ годъ**

Для прочтенія „Кавказскія Объявленія“ предлагаются публикѣ въ вагонахъ тифлисск. трамвая, въ подъѣзжающихъ къ Тифлису поѣздахъ закавк. ж. дор. изъ Баку и Батума и срочныхъ экипажахъ по военно-грузинской дорогѣ. За помѣщеніе объявленій взимается по 4 коп. со строки петита. Подписавшіеся же на газету „Кавказскія Объявленія“, при сдачѣ объявленій не менѣе 15 разъ, пользуются большою скидкою по соглашенію съ конторою. Траурныя объявленія лишь на первой страницѣ; **плата за каждый разъ по 2 рубля**

Контора и редакція газеты „Кавказскія Объявленія“ помѣщаются на Гановской улицѣ, при конторѣ нотаріуса **А. Г. Мамиконова**, а отдѣленіе: на углу Головинскаго проспекта и Барятинской улицы, въ павильонѣ Хилдекеля.

Адресъ для телеграммъ: Тифлисъ, „Кавказскія Объявленія“.

Редакторъ-издательница **Н. П. Слинко**.

Доз. ценз. Тифлисъ, 5-го Мартъ 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ი. ჭავჭავაძე